საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა
და გადაუდებელი დახმარების ცენტრი
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL
AFFAIRS OF GEORGIA
LEPL Emergency Situations Coordination and Urgent Assistance Center

KA030197440705717

საქართველო, თბილისი 0159, წერეთლის გამზ. N 117, ტელ.: (+995) 591 123 123

N 117, Tsereteli ave, Tbilisi 0159, Georgia; Tel.: (+995) 591 123 123

№ 12/2045 **18 / სექტემბერი / 2017 წ.**

ფაქტ-მეტრის რეგიონულ ანალიტიკოსს ქალბატონ ია ბახუტაშვილს

ქალბატონო ია,

საქართველოს, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან 2017 წლის 13 სექტემბერს N01/57890 წერილით გადმოგზავნილი თქვენი განაცხადის პასუხად, რომლის მიხედვითაც მოთხოვნილია საჯარო ინფორმაცია სსიპ თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრისა და ქუთაისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მომსახურე ავტომობილების, პერსონალისა და მათი ხელფასების შესახებ, გაცნობებთ, რომ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N638 დადგენილების N18-ე დანართის მე-6 მუხლის 3-ე პუნქტის თანახმად ახორციელებს სამედიცინო მომსახურების მიწოდებას მთელი ქვეყნის მასშტაბით გარდა ქ. თბილისის და ოკუპირებული ტერიტორიებისა, შესაბამისად ცენტრი მოკლებულია თბილისის სასწრაფოსთან დაკავშირებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის შესაძლებლობას.

რაც შეეხება ქუთაისის სასწრაფო სამედიცინო დახმარებას, გაცნობებთ, რომ ცენტრის ქუთაისის რაიონულ სამსახურს დღიურად ემსახურება სასწრაფო სამედიცინო დახმარების 10 (ათი) ბრიგადა, დასაქმებულია 44 ექიმი, 43 ექთანი და 41 მძღოლი, მათ შორის სარეზერვო თანამშრომლები. შრომითი ხელშეკრულების პირობების თანახმად ექიმის 1 (ერთი) მორიგეობის შრომის ანაზღაურება შეადგენს 88.47 ლარს, ექთნის 1 (ერთი) მორიგეობის შრომის ანაზღაურება შეადგენს 58.98 ლარს, ხოლო მძღოლის 1 (ერთი) მორიგეობის შრომის ანაზღაურება შეადგენს 52.18 ლარს. ამავდროულად გაცნობებთ, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის იმ წევრებს, ექიმი/ექთანი/მძღოლი, რომლებმაც წარმატებით გაიარეს სსიპ "საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის" აკრედიტებული სასწავლო პროგრამა/პროგრამები და გამოცდა ჩააბარეს წარმატებით 2017 წლის 1 ივნისიდან გაეზარდათ შრომის ანაზღაურება და განისაზღვრა შემდეგნაირად: ექიმის 1 (ერთი) მორიგეობის შრომის ანაზღაურება 100 ლარით, ექთნის 1 (ერთი) მორიგეობის შრომის ანაზღაურება შეადგენს 66.68 ლარით, ხოლო მძღოლის 1 (ერთი) მორიგეობის შრომის ანაზღაურება განისაზღვრა 58.98 ლარით. შრომითი ხელშეკრულების პირობების თანახმად თითოეული მათგანი თვეში საშუალოდ ასრულებს 7-8 მორიგეობას.

ქუთაისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურე ავტომობილების რაოდენობასთან დაკავშირებებით, გაცნობებთ, რომ ცენტრის ქუთაისის რაიონულ სამსახურს ემსახურება 10 (ათი) სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომობილი.

პატივისცემით,

დირექტორი ავთანდილ თალაკვაძე

205307960